



# სიანში

გამოცემის 47-ე წელი უახლესი 20 კაპ.




ნ.ს. გ. ლოლუბანი

— დავილუპეთ, ჩვენს ახალ ვეტაქის ტარიელი რქმევი სახელად.  
— ნუ გეზინია, მაგას უზულზე ეტეობა, „ვეფხისტყაოსანი“ გადა-  
ფურცლილიც კი არ ექნება!



ცნობილ ქართველ მწერალს, კრიტიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს — გიორგი ნატროშვილს დაბადების 60 წლისთავი შეუსრულდა.



ბ. 70

დაბადების დღეს გილოცავთ, პატ. ნატროშვილო გიორგი! გაქვთ ბრძენის გუმან-გონება და ენერჯია იოგის; ლიტგემოვნება — მაღალი; ცოდნა — უნივერ-სალური; გული — კეთილი, მართალი; სიტყვა — თბილი და ძალუმი! ხართ უურნალ „დროშის“ მედროშე და რედაქტორი ნანატრი და გშვენიტ ნატროშვილობა, ვით ქმნა მართლისა სამართლის... გთხოვთ, დიდხანს არ მოგვიშალოთ, ჩვენო გიორგი ბატონო, — თქვენი კაცობა კაცური, ბევრ ხალხს ნიჭს რომ პატრონობს!

ამას წინათ თბილისში დამთავრდა გამოჩენილი მოჭადრაკის პირველი ქართველი ოსტატის — ვიქტორ გოგლიძის ხსოვნისადმი მძაღლნაღი სსურთაშორისო ტურნირი, სადაც ბრწყინვალე გამარჯვებუ მოჭადრაკე სანტროშვილის ოსტატმა ბუხუტი გურგენიძემ: მან I-II ადგილები გაიყო მსოფლიოს ექსტემპიონ მიხეილ ტალთან ერთად და პირველი ქართველი საერთაშორისო დიდოსტატი გახდა.



ბ. 70

მეგობრული შარჟი ბ. ფირცხანლავასი.

ბუხუტიმ გადინადირა გოგლიძის მემორიალი: პაიკიც მოჰკლა, მხედარიც... ეტლებს გაჰქონდათ ზრიალი. არ მოერიდა დედოფალს, მეფეს დაუგო ანკესი... ტალისებურად კვესავდა ქართულ ჭადრაკის ტალ-კვესი! ვაჟია, ვაჟი! — გვეღირსა ვაჟისა დიდოსტატობა! პირად საქმეში შეტანით ვუთვლი უდიდეს მადლობას! თუმც ღირსი იყო აქამდეც (უტევდა, როგორც გრიგალი), ზოგჯერ ჯანი არ წყალობდა, ზოგჯერ — სპორტული იღბალი. გულში ვიხუტებ ბუხუტის (მწამს, სხვა მწვერვალსაც დაზვერავს), ვუსურვებ მოჭრილ მედალს და მუდამ მოუჭრელ მარჯვენას! ჩვენს პირველ ქართველ დიდოსტატს, ალექსანდრია ნანას მწვრთნელს, ამჟამად ბოდიშს მოვუხდი და შემდეგ ვეტყვი დანარჩენს!..



# ყურბანას საგზური

სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირის კოლმეურნეობის ტრაქტორისტმა — ყურბან მაკლიევმა გასული წლის 4 ივნისს მასზე გაპროცენებული ტრაქტორი „ბელორუსი“ დაღესტანში წაიყვანა და გაჰყიდა.

ლამეა. მთებში ღრუბლებმა გზები ძლივს გამოაკვლიეს. დაღესტანს მიჰყავს ტრაქტორი ვაქირელ ყურბან მაკლიევს.  
— კაცო, სად მიმერეკები? — ტრაქტორისტს უხმობს მანქანა, — კახეთს სახნავი ცოტა გვაქვს? აქეთ რამ გამოგაქანა?!  
იქნებ, მეზობელს ვჭირდებით, სახნავი დარჩათ ველები, თუკი ასეა, მივხედოთ, აგრემც მათ შემოვევლები!..  
რკინის რაში და „მხედარი“ ჭენებით ტეხდნენ ლამეს და

დილით, ცას მზე რომ შეენთო, თავზე დაადგნენ დაღესტანს.  
აულში კაცი შემოხვდათ — ცანცარა, როგორც ქანქარა: — ნეტავ, სად მიგყავს, ძმობილო, ეს დალოცვილი მანქანა? — მოგწონს? — მიუგო სტუმარმა, — თუ გსურს, მიწის ჯავრს იყრიდე, განა ტრაქტორი? ვეფხვია, იაფად მოგცემ, იყიდე!  
მორიდგნენ... მყიდველ-გამყიდველს

წყენა არ დარჩათ პაწიაც. ყურბანამ ფული იჯიბა, საქართველოსკენ გასწია.  
— ვაი, შენს პატრონს, ყურბანავ! — მანქანა ახტა, აყვირდა, — სად გაგონილა ტრაქტორის ხარ-კამეჩივით გაყიდვა?!  
ბოლოს, როს ესე ამბავი ჩხრიკეს და გამოაკვლიეს, უბოძეს ციხის საგზური ვაქირელ ყურბან მაკლიევს.  
გაიოგ შავერზაშვილი

# კონფერენცია კრიტიკის მიზნით

ამას წინათ N საწარმოსთან არსებულ სასადილოს მოსამსახურე პერსონალთან მოეწყო მომხმარებელთა შეხვედრა-კონფერენცია, სადაც განიხილეს სასადილოს მუშაობის ზოგიერთი ჩრდილოვანი მხარე. შეხვედრის დასასრულს სიტყვით გამოსულმა ახალგაზრდა ლაბორანტმა — კერძაქემ დაამტკიცა მომხმარებელთა მიერ წაყენებული ბრალდებების უსაფუძვლობა, ფარდა აჭხადა მომჩივანთა არაობიექტურობას და ა. შ.

მოგვაქვს ამ სიტყვის სტენოგრაფიული ჩანაწერი:

„მეგობრებო! თავიდანვე მინდა აღვნიშნო ერთი რამ: ჩემზე წინ გამოსული ყველა ამხანაგი ტენდენციური იყო საკითხის გარჩევაში. გამოსულთა სიტყვებში, აშკარად თუ მალულად, იგრძნობოდა, რომ ისინი ცერად უყურებენ სასადილოს მუშაობას. ადამიანები კი, რომლებიც უვარგისი პროდუქტებიდან გვიმზადებენ გემრიელ და ნოყიერ კერძებს, დაფასებისა და პატივისცემის ღირსნი არიან.

ერთ-ერთმა ამხანაგმა (გვარი არ მახსოვს) თქვა, რომ ამათი ვერეთწოდებული სუბი ჩვეულებრივი მარილ-წყალია, ოღონდ, ფერადი.

მე ამაში ვერაფერს ვხედავ ცუდს. თავი რომ დავანებოთ ესთეტიკურ მხარეს, ემოციებს, რომელსაც ამ სუბისთვის გემოვნებით შერჩეული ფერი იწვევს (გადაწყვეტილია რემბრანდტისათვის დამახასიათებელ გამაში), იგი შეიცავს ადამიანისათვის უაღრესად საჭირო ორ ნივთიერებას:  $H_2O$ -სა და  $NaNO_3$ -ს (სუფრის მარილს); ხოლო თუ მიკროსკოპში გულდასმით დააკვირდებით, შეიძლება ცხიმის მოლეკულებიც აღმოაჩინოთ შიგ.

საწინააღმდეგოდ იმ ამხანაგისა, კერძების ერთფეროვნებაზე ჩივილით რომ დაიწყო თავისი გამოსვლა, ვაცხადებ: ჯერ არსად შეგხვედრივარ ისეთ მრავალფეროვნებას, როგორსაც აქ. მაგალითად, ის საჭმელები, რომელთაც ჩვენ მხოლოდ ცხელი სახით ვხვდებით ყველგან, აქ ხან ცხელია, ხან ცივი და ხანაც ნელ-თბილი; ჩაი, კაკაო და ყავა, ისევე, როგორც ლიმონათი, ხან სუყველა აქვთ, ხან მხოლოდ ზოგიერთი და უფრო ხშირად კი — არც ერთი, რაც, უმჭვრელია, მრავალფეროვნებისათვის არის გამიზნული. იგივე მიზნისთვის იყენებენ სხვა

ხერხსაც: კერძებში ხან „შპაკატის“ ნაჭრებს ურევვენ, ხან ბუზს და ხანაც ლურსმნებს. მაშინ რას იტყობდით, ყოველდღე რომ მხოლოდ ერთი რომელიმე ერთის ამათვან?

საოცარი კი ის არის, რომ ზოგიერთს არც ეს მოსწონს. მე ამას წინათ შევესწარი ასეთ სცენას: ახალგაზრდა კაცს (ეგერ იჯდა სწორედ, კუთხეში) თავის შნიცელიან თიფში ეპოვნა ლურსმანი. სრულიად ჩვეულებრივი ლურსმანი იყო, ჟანგისაგან დაწვრილებული და გაღუნული. ადგა ის ყმაწვილი, ატეხა აურზაური, მიეჭრა მზარეულს და ერთი ვაი-უშველვლელი დააწია... რატომ, კაცო, რისთვის? ლურსმანი იპოვნა, ხომ არ დაუკარგავს?!

ახალგაზრდა კაცი ყვირილით მიმართავდა მასზე ბევრად უფრო ხნიერ და ბევრად უფრო ჩასუქებულ მზარეულს: „ლურსმნები ვჭამო, ხომ?“ შე კაი კაცო, ვინ გეუბნება, გინდა თუ არა, შეჭამო?

თუ არ მოგწონს საჭმელში ლურსმანი, აიღე და ჩაიღე ჯიბეში — გამოგადგება! ფულს ხომ არ გახდევინებენ?

ზოგ-ზოგებმა აღშფოთებით ილაპარაკეს კერძებში ბუზებისა თუ სხვა, მენიუთი გაუთვალისწინებელი მწერების პოვნის შემთხვევებზე. ალბათ, არ მოსწონთ ბუზებით შეკმარული საჭმელები, მაგრამ აღშფოთება? თქვენ რომ კერძში უმი ბუზი იპოვნოთ, მაშინ ვიფიქრებ, რომ კუჭის მოწამვლისა შეგეშინდათ, მაგრამ როცა თქვენ პოულობთ საჭმელთან ერთად ნორმალურად შემწვარ ან მოხარშულ სრულიად ჩვეულებრივ ბუზს და ბრაზობთ, გაუგებარია მიზეზი! არა მგონია, რომ კარგად შემწვარ-მოხარშულ-მოხარაკული ბუზი საფრთხეს უქმნიდეს ადამიანის ჯანმრთელობას.

მინდა მოგაგონოთ, რომ ადამიანები ამზადებენ გველის კონსერვებს, მიერთმევენ ბაყაყებს, სიამოვნებით შეექცევიან ლოკოკინებს და ბუზი რა გახდა ამისთანა? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თუ ბერძნებისათვის ლოკოკინა დელიკატესია, ჩვენი ბუზები რითი არიან ბერძნების ლოკოკინებზე უფრო საზიზღარნი?!

დარბაზის იმ მხარეს, სადაც სასადილოს მუშაკები სხედან, გაისმის მხურვალე, ხანგრძლივი ტაში და ოვაციები.

ვანტანგ ჩხუმიანი



უსიტყვოდ



ქლებს უყვლობ 2 დღეს.

ქლებს უყვლობ 7 დღეს.

ქლებს უყვლობ 10 დღეს.

ცხოვრობს საბურთალოს სივში და ქლებს უყვლობ 1 თვეს.



# საქვეყნოდ ვაყვარებ!

ეროვნული  
ინტელიჯენცია



— ფაჯა ღურწკაიას წაულია ჩვენი ჰირო... — გადმომძახა ჩემმა მეორე ნახევარმა და გაზეთში სამგლოვიარო განცხადებების კითხვა განაგრძო.

— ღმერთმა საუკუნო სასუფეველი დაუმკვიდროს და ჩვენ კი იმდენ ხანს გვაცოცხლოს. — ჩავიბურტყუნე ჩემთვის და სადილობა განვაგრძე...

— უყურე შენ მაისო ზამთარაძე აცხადებს მამიდის გარდაცვალებას, სადაური მამიდა იყო მაისოსი ფაცია?

— არ ვიცი ქალო მაცალიე ადამიანურად საქმლის ჰამა, ჩემდა ჰირად მოვიტანე ეს გაზეთი...

— შევიშლები ნამდვილად და ესაა, წაწუნია სირგილაძე შეჩვენოს ჩემმა გამჩენმა, ძმის შვილიო, სადა ყავდა ფაციას ძმა...

— არ ვიცი, არ ვიცი და არც მაინტერესებს.

— მომარაგების ტრესტის თანამშრომლები აცხადებენ მმართველის გერვასი ღურწკაიას დედის გარდაცვალებას. — აჰა, გასაგებია ყველაფერი, გერვასი გადაუყვანიათ ტრესტის მმართველად.

— ქალო მაგ გაზეთში გერვასის დაწინაურება სწერია თუ ფაციას გარდაცვალება?

— ორივე, და ამიტომაც ხვალ ნემსის უუნწში უნდა გაძვრე და სალამოს გაზეთში ჩვენი ოჯახის განცხადებაც უნდა დააბეჭდონ...

— შეიშაღე ქალო მეზობლები-სას კი არა ბიძაშვილ-მამიდაშვილების განცხადებებს აღარ იღებენ გაზეთში.

— ახლა არ მითხრა, რომ წაწუნია და მაისო ფაციას ღვიძლი ნათესავები არიანო, თორემ იცოდე გავგოუღებო...

— მაგი არაა ჩემი საქმე, ფაციას რაც ეკუთვნის კარგად ვიცი. კარის მეზობელი იყო და პანაშვიდზე მივალ კიდეც, განცხადების სურვილი კი ამ წუთიდანვე ამოიგდე თავიდან.

— აბა მაშ ყველასაგან გამოვერჩიოთ და საქვეყნოდ თავი მოვიქრათ?! ესაა შენი ავტო...

ბოლო სიტყვებს კარგად ვერ მოვკარი ყური, კარები მივუხურე და მეორე ოთახში გავვიღე.

მესამე დღეს სამსახურში შესულს ჩვენმა თანამშრომლებმა ექვიანი მწერა გამომაყოფნეს და ჩურჩული ატეხეს. ცოტა ხნის შემდეგ კაბინეტის კარი მთავარმა ბუღალტერმა შემოაღო, ჩემსკენ გამოქანდა, მარჯვენა ხელზე მეცა

და მწუხარე ხმით მომისამძიძრა.

— ვიზირებ მედენტრი თქვენს მწუხარებას. ზოგიერთი ცოლისდასჯობია ცოლს.

რას იზამო, ყველა სიკვდილის შვილები ვართ... — ბუღალტერს ეკონომისტი მოყვა, ეკონომისტს ნორმადარი, ნორმადარს მოანგარიში.

— მოზიარე ვარ თქვენი დიდი მწუხარების პატივცემულო გერონტი, არ ვიცოდი თქვენ არ მომიყვდეთ, დღეს სრულიად შემთხვევით წავიკითხე გაზეთში. ნუ მიწყენთ და არც ის ვიცოდი რომ ცოლის და გეყვადო.



— რის გაზეთი... რა გაზეთი, სადა მყავს ცოლისდა?!

— აღარა გეყვარა... — შემომბლავლა ჩვენმა მოანგარიშემ და კისერზე ჩამომეკიდა.

კარებში გაზეთის ფრიალით ჩვენი მემანქანე ტერეზა შემოვარდა.

— დიდად მეწყინა, პატივცემულო გერონტი, დიდად...

მემანქანეს გაზეთი ხელიდან გამოვგლიჯე და სამგლოვიარო განცხადება ჩამარცვლით ჩავიკითხე. გერონტი პირტალია ოჯახით იწყებდა ცოლისდის ფაცია ღურწკაიას გარდაცვალებას.



— დაა?!... — ამოვიგვინე ბრინჯივით დაბნეულმა და ჩვენს თანამშრომლებს გადავხედე. „გაუძეულით“, „გამაგრდით“, „გამხნეველით“, მესმოდა აქეთ იქიდან და მენხმის ამოდებას ვერ ვახერხებდი. ბოლო როცა ჩვენმა სავაჭრო განყოფილების გამგემ ფულით გაბე-

რილი კონვერტი გადმომცა ჩვენი თანამშრომლების სიასთან ერთად, გული ამიჩუყდა, ყველა იქ მყოფთ ხელი ჩამოვართვი და მადლობა გადავუხადე.

იმ სალამოს ჩვენმა სამმართველოს თანამშრომლებმა ღურწკაიასთან კი არა ჩემს სახლში მოიყარეს თავი და ისეთი გულისამაჩუყებელი სიტყვებით ამავსეს, რომ კინაღამ ბოროლასავით ავბლავდლი. იძულებული გავხდი პანაშვიდზე მათთან ერთად წავსულიყავი და ფაციას თვთან, ფეხებდაბრეცილ გერვასის გვერდით დავმდგარიყავი. იმ სალამოს მწუხარების მოზიარებმა ხელის ჩამორთმევითა და კოცნით კინაღამ მომაგლიჯეს მარჯვენა მკლავი და ლოყა.

დაკრძალვის დღეს ჩემმა ნათესავებმა, იმათ, ვინც ცოლისდას კი არა, ჩემს ცოლს არ იცნობდნენ ხეირიანად, კარებზე ერთი დიდი ავტობუსი მომაყენეს და ხუთიოდე დღით ჩემს სახლში დაიდეს ბინა და მანამდე არ მოსიურვილეს სოფელში დაბრუნება სანამ ხმა არ დავაგდე ჩემი მივიღინებაში წასვლის შესახებ.

მაღე, ალბათ, ორმოცს გადაიხდის გერვასი ღურწკაია და თუ მე სასაფლაოზე ვერ მხახოთ ნუ გაიკვირვებთ, მივლინებაში მივღვიარ ერთი თვით და მანამდე არ ჩამოვალ სანამდე ყველანი იცი გერმონიალი არ დამთავრდება.

იმ დღის შემდეგ ცოლს არ ველაპარაკებო და თქვენ წარმოიდგინეთ სამგლოვიარო განცხადებებსაც აღარ ვკითხულობ. ისე ჩემო ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო და გარეულო ნათესავებო თქვენს საყურადღებოდ სპეციალურ ვაცხადებ, რომ სინამდვილეში მშავს ერთი სიღვარი, ერთი სინამარი, ორი ცოლისძმა (ცოლისდა არასოდეს არ მყოლია) და ცოლის სამი დეიდა და თუ მათ რაიმე უბედურება დაემართებათ (ჭერჭერობით თავს ძალიან კარგად გრძნობენ) ნურავის ნუ დაუჭერებთ, პირიბას ვაძლევთ ყველას სათითაოდ ჩამოგივლით და შეგატყობინებთ ხელის ჩამორთმევით და პირადი განცხადებით. სხვას, თუნდაც იგი ჩემი მეუღლე იყოს, ნუ დაუჭერებთ, ნუ ენდობით, ნურც მე ჩამაგდებთ უხერხულ მდგომარეობაში და ნურც თქვენ თავს.

ვალერიან მამუკალაშვილი



როგორ პურსზე ხარ?  
— ბინდა გაუთროვარ ქალღმთვის ბიკითხვას  
წლოვანება და ბინდაც დაუსწარმებელი სტუმრენ-  
ტისთვის მიიციოთ ვე კითხვა.



ნ.ბ. ჯ. ლოლუსაძი



მე, მავის კისერი მომტა, რა კარგად მივესალმებოდი უფროსს!

# სუკა

შუადღეა. მწვადად აგებულმა სუკმა, სურნელებით თვისით გადარია შუკა. ყველა მორბის, უკვირს: „სად იშოვნე სუკი?! სად წააწყდი, როგორ, ქვეყანაზე გამწყვარს?!“ სიზმარია თურმე! გამეღვიძა საწყალს. არც მწვადი, არც სუკი, არც არავის უკვირს... რაც რომ ხანში შეველ, აყალ-მაყალ ვუქეღ, მკერდის წვერს და სუკებს გამომწირეს უკვე. ეპ, რა ვუთხარ ყასბებს, ვერ გადარჩა მათს ყბებს... რა იქნება, ღმერთო, რომ მომასწრო იმ დროს, მინდოდეს და სუკი ვიტრინაში იდოს?! თორემ ფარა სა მაქვს, ვიმეტებდე სამამავს?! მივეძალე სრულად მეხორცეთა ამქარს, დალოცვილი სუკი ვკითხე, რაფერ გაპქრა. მუშკ-ამბარი შუკის, ვინ მოგვისპო სუკი?! „შერცხვა“ ნაცნობ ყასაბს, მოპყვა უნდო ჭრიალს: გვენატრება ჩვენცო, ბონიზედვე სჭრიან... მეც ძლივს მახსოვს გემო, მეზობელო, ჩემო!.. ფიქრში ვლანდავ ბონის: ჩანთითა და „სუმკით“ ფულიანს და ნაცნობს ყველას მიაქვს სუკი... ამისთანა ბონის ვინ მოუწყობს ოინს?! ვახ, თუ ფიქრობთ, მართლა სუკზე დავშვრე აქ მე, ნეტა, მარტო სუკში იყოს ჩვენი საქმე!.. გვძარცვავს კაცი დახლის, თან გინებას გვახლის... ჩემს მეგობარ მხატვრებს ვუხმობ ყალბით, ფუნჯით: რომ დამხატონ დახლთან — არა, როგორც მუნჯი; არცა ვგავდე მურდალს, რომ არ ითვლის ხურდას. დახლში იდგეს თეთრი ხალათით და ქუდით, რომ უნახავს ყველას — გამყიდველი — ქურდი. რომ იქნევდეს დანას, ფხას უწყობდეს თანაც. ჰგავდეს ექიმს, ქირურგს, გამოწყეპილს სუფთად, მაღაზია — თვისი რომ ჰგონია სულმთლად. ქაბაბი და ლულაც არ მოგყიდოს ფულად... ყელში მიჭერს იჭვი, გვრცხვენია, თუ ვფრთხებით?! ამ დანიან ყასბებს არ ვეგონოთ თხები... სუკს ვინ ჩივა, სულს კი შეგვარჩენენ სულ კი!

ზაპარია შერაზადიშვილი

გიგლა შირცხალავა

მიდიხარო თქვენთვის ქუჩაში. „რატომ ქუჩაში?“ — იკითხავს გულუბრყვილო მკითხველი. რატომ და, თუ ქუჩაში არ გაიარეთ, სახლიდან სამსახურში ვერ მიხვალთ, ანდა — პირიქით. დგას ცუდი ახალგაზრდა, ისიც ქუჩაში. „რატომ დგას ქუჩაში?“ — კიდევ იკითხავს იგივე გულუბრყვილო მკითხველი. ამაზე ვერც მე გიპასუხებთ და ვერც ის ცუდი ახალგაზრდა. თქვენ თქვენი ფიქრებითა და ოცნებებით ხართ გართული. იმას თუ ფიქრი და ოცნება შეუძლია, ამაზეც ვერ გიპასუხებთ.

მშვიდად ჩაუარეთ ახალგაზრდას და განაგრძეთ თქვენი გზა. ასევე მშვიდად დაგეწიათ ცუდი ახალგაზრდა და უცხოეთიდან შემოტანილი დანა ჩაგარტყათ ზურგში...

თქვენ კითხვაც კი ვერ მოასწართ: „რატომ?...“ თქვენ, სისხლისგან დაცლილი, კერძო მანქანით, საავადმყოფოსაკენ გაგაქანეს.

„რატომ?“ — ეკითხებიან გამვლელები ერთმანეთს. სხვათა შორის, ამ გამვლელებს მშვიდად გაუარა გვერდზე ცუდმა ახალგაზრდამ.

არავინ იცის, რატომ! ვიდაცას უნდოდა, თვით იმ ახალგაზრდისათვის. ეკითხა, „რატომ?“ მაგრამ სადღა იყო...

მიდიხარო მეორედ ქუჩაში. პირველად გამოჩენილი ქირურგის ჩარევამ სიკვდილს გადაგარჩინათ.

დგას სხვა ცუდი ახალგაზრდა ქუჩაში (რუ-ახალგაზრდას რა გამოლევს!). თქვენ უკვე გამოცდილება გაქვთ და უბრალოდ აღარ მოტყუდებით. ჯიქურ მიდიხარო ახალგაზრდასთან და ეუბნებით:

— თქვენ გინდათ, მე დანა ჩამოგტყათ, არა?!  
— როგორ მიხვდით? — ოდნავ ზრდილობიანად და ოდნავ ცინიკურად მოგიგებთ ახალგაზრდა.

ამჯერად უცხოეთიდან შემოტანილ დანას შიგ მკერდის არეში გარტყამთ. ეს თქვენი პოზიციის ბრალია: ერთმანეთის პირისპირ დგახართ.

სისხლისგან დაცლილს, ამაჟამად სხვა, კერძო მანქანით, საავადმყოფოსაკენ მიგაქროლებენ... თქვენს მისუსტებულ სახეს ბედნიერი ღიმილი გადაჰკრავს.

ამჯერად იცით, რატომ დაგარტყეს დანა!



მთავარი რედაქტორი ნოდარ ლუგვანი

სარედაქციო კოლეგია:  
ზ. გოლჭავაძე (პ/მზ. მდივანი),  
ს. კლდიაშვილი,  
ნ. მაღალაშვილი,  
ბ. ნიშნიაშვილი,  
(მთავ. რედ. მოადგილე),  
ნ. შველიძე,  
ო. ზვილიძე.

სატირისა და იუმორის შუბნალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42.  
Тбилиси, Сатирико-юмористический журнал «Нианги». ტელ. რედაქტორის 99-76-69, რედ. მოადგილის 93-49-32.  
საერთო განყოფილების 93-10-78.

საბ. კვ ცვ-ის გამომცემლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

გადაეცა ასაწყობად 12/1-70 წ.  
ხელმოწერილია დასაბუჯვად 2/11-70 წ.  
ჭალალის ზომა 70x108 1/8.  
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,  
პრობოთი ნაბეჭდი ფურცელი 1,4.  
საბ. კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КП ГРУЗИИ ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14  
შეპვ. № 96.  
შეპ № 01936.  
ტირაჟი 118.800.




## მინიატურა

დამცველმა ასე დაიწყო თავისი სიტყვა:

„ღრმად პატივცემულო მსაჯულნო! თქვენს წინ არის ადამიანი, რომელზეც, პირველი შეხედვისთანავე, იტყვიან: ნეტავი, შენს პატრონს, ბედნიერსო! სახე ადამიანის სულის სარკეა და თუ ამ ახალგაზრდის სახეს დავაკვირდებით, ჩვენს წინ გადაიშლება მისი კეთილი სულის თვალუწვდენელი პორიზონტები და სპეტაკი ბუნება. სწორედ მასზეა ნათქვამი, ადამიანის სული ამოუშრობი ზღვაა და ვინ იცის, რამდენი ამოუშურავი წიაღისეულია ჩამარხული ამ კაცთმოყვარე და ჰუმანური ადამიანის უშრეტ გულშიო. ჩახედეთ ამ ადამიანს თვალებში და თქვენ დარწმუნდებით, რომ მას არა და არა, მუქარის ქვეშაც კი არ შეეძლო ჩაედო ჯიბეში დანა და ჩაედინა ის მძიმე დანაშაული, რომელსაც მას უსამართლოდ მიაწერენ...“

საბრალოდებულო სკამზე იჯდა ბოროტი სახის მქონე მუტრუკი, უსიცივლოდ იკრიჭებოდა და უკვირდა, რატომ აქამდე არ ვიცოდი, ასეთი უმანკო თუ ვიყავიო.

სიმონ ჯაფარიძე



— შვილო, ვინ არის ეს?  
— „მის ამერიკაა“, დედი!  
— ვაი, მის პატრონს!

КОНТРОЛЬНАЯ  
ЭКЗЕМПЛЯР

